



34
24/11
57


ასრულდა შენი ოცნება,
რისთვისაც სისხლი ღვარეო.

აყვავიდი. ტურთა ქვეყანავ,
იღბინე, ქართველთ მხარეო!

ს ი ა ს ბ ი

ნან. თაშარ

საზეიმო დღეები



18

თავიანდაკი

დღეს საერთო სიხარული
ალმაფრენით ჩვენს გულს ანთებს:
დღეს ზეიმით ხვდება ხალხი
თავის რჩულ დეპუტატებს,

რომ სამშობლოს მართვის საჭე
ჩააბაროს იმ მარტვენას.
ვინც ქვეყანა ასახედა
და გმირობა ვინც გვაჩვენა.

რომ ჩვენს დიად მშენებლობას,
არ დაედოს წამით ზღვარი.
კვლავ ამაღლდეს, კვლავ აყვავდეს
საქართველო სანუკვარი.

რომ ჩვენს ცაზე. თუნდაც წამით
არ ვხედავდეთ ღრუბლის ჩრდილებს,—
სიხარულით ხმა მივეცით
ჩვენი ქვეყნის რჩულ შვილებს!



23

თავიანდაკი

დიდი სამშობლოს დამცველი,
მტერზე მახვილის მღესავი,
მშვიდობის სადარაჯოზე
დგახარ ფოლადის კდღესავით,

რომ მშენებლობის დიადი
ზეიმი ვერვინ ჩაშალოს
და ყოველმა დღემ ჩვენს ცაზე
დიდების დროშა გაშალოს!

ბრძოლებში დავაუკაცებულს,
ვინც შემოგბედა სიავე,—
დღე შეანანე გაჩენის,
დაღწე, განიავე!

მტრის გულის დამნაცრებელი
თავზარს სცემ ხალხთა მმარცველებს,—
ჩვენი ვაჟა და დიდება
სამშობლოს დევგმირ დამცველებს.



25

თავიანდაკი

ბევრია ჩვენში დღე საზეიმო,
გულს რომ აგვივსებს მზე სამკაულით,
მაგრამ სულ სხვაა საქართველოში.
თებერვლის დიდი დღესასწაული!

ამ დღეს სამშობლო აღსდგა, ამაღდა.
ხუნდი დაღწა ამირანივით
და ჩაუქრობედ შუქით აივსო
მისი ცისა და მიწის განივი!

ამ დღეს იხილა დიდი ოქტომბრის
უქრობ ვარსკვლავის ამობრწყინება,
და იმ დღის შემდეგ, ყოველ წაშს და დღეს
მოქტონდა მისთვის ალორძინება!

გამარჯვებული, განახლებული,
დღეს ამ ზეიმის დიდებით ბრწყინავს.
და ბედნიერი მომავლის გზაზე
სტადინის დროშა მიუძღვის წინა!

ს. ფაშალიშვილი


ნახ. ი. ქოქიაშვილისა



1921



1951



შვილიშვილი

ლევანის სამუშაო ოთახის ფანჯრებიდან დღეს თითქოს ჩვეულებრივზე მეტი სინათლე შემოდის. ზეიმობდა ლევანი, ზურგი ფანჯრებისკენ შეექცია, წინ და უკან დადიოდა ფუნჯით ხელში და თითქოს დაწუნებდას უპირებსო, ყოველ მხრიდან ათვალეობდა დიდ ჩარჩოში ჩასმულ, ახლახან დამთავრებულ სურათს. ლევანის გვერდით მისი პატარა ბიჭუნა — ნუგზარი დამდგარიყო და ჩრდილივით იმეორებდა მამის მოძრაობებს. ნუგზარმა მხოლოდ დღეს მიიღო ამ ოთახში შემოსვლის ნებართვა და ისე ეჩვენებოდა, თითქოს პირველად იყო აქ.

ლევანმა ფუნჯით მწვანე საღებავი აიღო და სურათის ქვეშ მიაწერა „ხვალინდელი სამგორი“.

— უჰ, მამი, რა ლამაზი ტრაქტორებია, ნეტავ ზედ დაჯდომა შეიძლებაო, — ატიკტიკდა ნუგზარი. — პატარა ბიჭებს კი ბალში გადაპარვა უნდათ, არა, მამი?... და ამ მებაღისა ეშინიათ, არა?... უჰ, — წამოიყვირა უცრად თვალბანთებულმა ნუგზარმა. — მე დამხატე, მამი? როგორა მგავს! — ლევანმა სურათს შეხედა, სურათში დახატული პატარა ბიჭუნა მართლაც ჰგავდა თავის შვილს.

— მერე გრძელი შარვლით რატომ დამხატე?! — აბუზღუნდა ნუგზარი. — როგორღა გადავტყუებ ბალში... ხომ დამეხევა... როგორც მაცვია, ისე დამხატე რა, მამი!

— ისინი პატარები არიან, შენ კი უფრო დიდი ხარ და ამიტომ გრძელი შარვალი უნდა გეცვას... — ნუგზარი დამშვიდდა და ახლა სურათის მარცხენა მხარეს დაუწყო თვალეობა.

— აჰა, ავერ, კიდევ ბავშვები... წუწათობენ!.. მამი, ასეთი დიდი მდინარეა სამგორში?

— არა, ნუგზარ, ეგ ზღვაა, თბილისის ზღვას ეძახიან.

— მერე ზღვაზე წაყვანას რომ მპირდებოდი, ხომ წამიყვან?

— წაგიყვან, შვილო... მალე წაგიყვან! — ღიმილით წარმოთქვა მხატვარმა და შვილს თვალი ჩაუკრა.

— მამიკო, მამიკო, აქამდე რატომ არ ხატავდი ბავშვებს? — არ ეშვებოდა ნუგზარი.

— ვხატავდი, — თავისთვის წარმოს-

თქვა ლევანმა, სათაურის წარწერა დაამთავრა და თვალმოუცილებლად გასცილდა სურათს. ნუგზარი აედევნა.

— თუ ხატავდი... მიჩვენე რა, მამი?! —

ლევანს რატომღაც უარის თქმა უნდოდა, მაგრამ ადგილგადანაცვლებულ მზის სხივებში უფრო მეტად მოეწონა თავისი სურათი.

— შენახული მაქვს, შვილო, სალამოს მოვიცლი და მოვნახავ. — ტკბილი ხმით ჩაილაპარაკა მან.

— არა, არა, მამი, სალამოს დედა მშინვე დამაძინებს, ახლა მიჩვენე, ოუ გიყვარვარ. — ლევანმა ფუნჯი ვანზე დალო და შვილის წარბებზე შემუხნილ, მუდარის გამოხატველ სახეს ჩაჰხედა.

— აბა, წამოდი, ერთად მოვძებნოთ!

ლევანმა ოთახის კუთხეში მოთავსებულ, გრძელ და მაღალ ყუთიდან ძველი, ნიკაპამოტეხილი თიხის ქანდაკება გადმოიღო, ურდულს თითები ამოსდო და ყუთის სახურავი აჰხადა. მზის სხივებმა იმ წუთშივე გამოამქლავნეს ჰაერში აჭრილი მტვერი. ლევანმა ყუთში ჩაიხედა. რა უცნაურია, სულ აღარ ახსოვდა აი, იმ მოხუცის სურათი, — გულაღმა რომ შეჰყურებდა ჰერს, არც „მეტუნუქეთა სახელოსნოები“, არც „კონკა თბილისის ქუჩებში“. რამდენი ხანია არ გაუხსნია ეს ყუთი, ესკიზები, დაუმთავრებელი ეტიუდები, ნატურმორტები, მგზავრობის შთაბეჭდილებებით შეესებული ალბომები... ახალგაზრდა მხატვრის პირველი ნამუშევრები, ყველაფერი აქ იყო ჩაკეტილი.

ლევანი სათითაოდ ათვალეობდა სურათებს და იატაკზე ალაგებდა. ის ყავისფერყდიან ალბომს ეძებდა, იქ ჰქონდა ჩახატული ბავშვთა სახეები, შიო მღვიმელის წიგნისათვის ამზადებდა ილუსტრაციებს, კარგად აღარც ახსოვს როდის იყო ეს. ნუგზარი კი — იატაკზე დალაგებულ სურათებს ხელახლა იღებდა და თავისებურ კომენტარებს უკეთებდა მათ.

— მამი, ამ ქუჩაში ფანარი რატომ ანთია? ელექტრონი ჩაქრა? — ლევანმა სურათს დაჰხედა.

— ეგ წინათ იყო, შვილო... მაშინ არ იყო ქუჩებში ელექტროსინათლე...

— მერე რომ დავიწვია „გოლოვინის პროსპექტი“, — რომელი ქუჩაა ეს?

— ეს რუსთაველის გამზირია, შვილო!

— მერე რუსთაველის გამზირი ასეთია?

— ძველად ასეთი იყო, შვილო... მერე ააშენეს...

— ჰოდა, ამ სურათს რომ აწერია „საქართველოს ხილი“, — მანდარინები და ლიმონები რატომ არ არი? დახატვა არ იცოდი, მამი? — სეტყვასავით აყრიდა ნუგზარი. ლევანმა, როგორც იქნა, მონახა ყავისფერყდიანი ალბომი, შვილი მუხლებზე დაისვა და ალბომი გადაუშალა. ფურცლები საესე იყო ბავშვების პროფილებით, თვალებით, მერე რამდენიმე გვერდზე ზედზედ ეხატა მხოლოდ მტირალი გოგონები, ცალკე თვალები, თითები. ნუგზარი გაფაციცებით ათვალეობდა ალბომს და ერთი გვერდის გამოტოვებასაც არ აპირებდა. უცებ ალბომიდან ფოტოგრაფიული სურათი გადმოცურდა და ნუგზარის მუხლებზე დაეარდა. ლევანმა სურათი აიღო. მასზე გამოხატული იყო სამოქალაქო ომისდროინდელ სამხედრო ფორმაში გამოწყობილი წითელარმიელი, ტახტზე იჯდა, მუხლებზე პატარა ბიჭუნა დაესვა და მისთვის თავისი გრძელყურებიანი და დიდვარსკვლავიანი ქუდი დაეხურა.

— მამა, ვინ არიან? აი, ალბომშიაც არიან, შენ გადახატე? ვინ არიან, მამი?

ლევანი კი უცნაურად გაბრწყინებული სახით დაჰყურებდა სურათს, რომლის კუთხეში წვრილი, გაკრული ხელით ეწერა: „ტფილისი, 1921 წლის 25 თებერვალი“, ლევანს ბუნდოვანად ახსოვდა ეს დღე, დიდი ხნის უნახავი მამა რომ ჩამოვიდა მოსკოვიდან. ლევანმა შვილს თმაზე აკოცა.

— ეს კაცი შენი ბაბუაა. შვილო, ეს ბიჭი კი — მე ვარ!

— შეენ, მამი? ასეთი პატარა? — გადაიკისკისა ნუგზარმა, მაგრამ უცრად აბუზღუნდა. — მერე მოკლე შარვალი რად გაცვია? მე გრძელი შარვლით დამხატე და შენ კი მოკლე გაცვია, არ მინდა... ნახე, თუ დედას არ ვუჩვენო, — ნუგზარმა სურათი დაითრია, მამის მუხლებიდან ჩამოხტა და ვარეთ გავარდა. ლევანი მოგონებებიდან გამოერკვა, თავი მაღლა ასწია და გაიღიმა; სალამოს სხივებში უფრო მომხიბლავი ჩანდა თავისი ახლადდამთავრებული ტილო... ხვალინდელი სამგორი“.



— ამ შესანიშნავ საზეიმო დღეს, თქვენზე ადრე, აბა, ვის ვესტუმრებოდით! — საბჭოთა საქართველოს XXX წლისთავი გვინდა მოვილოცოთ თქვენ, სახელოვან ქართველ დედას, თორმეტი შვილის აღმზრდელს, რძლებით, სიძეებითა და შვილიშვილებით გამდიდრებულს!.. სალამი ბარბარე ოქროპირის ასულ ბახტაძეს, — ნება მოგვეცით თქვენს ოჯახს ვავეცნოთ! — მოკრძალებით მოვახსენეთ კარებში ღიმილით შემოგებებულ დიასახლისს...

— მობრძანდით, მობრძანდით. — შემოგვესმა მისი ხმა და წუთის შემდეგ მთელი საუბარი მხოლოდ შვილებს შეეჩებოდა, თორმეტი შვილს, რომელთაგან შვიდი სამამულო ომის მონაწილეა. თმაშევერცხლილ გმირ დედას, ბარბარეს, უფლება აქვს იამაყოს: მისი შვილები, მისი რძლები, სიძეები, რა საქმეს გინდათ რომ არ ადგენენ; იბრძვიან, იღვწიან მთელი ქვეყნის საკეთილდღეოდ, საბჭოთა საქართველოს ოცდამეათე წლისთავს მაღალი მაჩვენებლებით ხვდებიან. თვითონ ბარბარესაც და მის მეუღლეს ისააკს თავისი საქმე, თავისი გეგმა და თავისი სიხარული აქვთ...

მაგრამ ჩვენ მაინც ვთხოვთ ოჯახის შემადგენლობა ჩამოგვითვალონ ეს არც ისე ადვილია, — დედ-მამას უკვე თითები აღარ ყოფნით ჩამოსათვლელად...


— აი, ისინი!.. — ამბობს ბარბარე და თვალით გვანიშნებს კედელზე გაკრულ ფოტოსურათებზე.

— კი მაგრამ, ერთ სურათად რად არ გადაიღეთ? — ეკითხება ერთი ჩვენთაგანი განსაკუთრებული ცნობისმოყვარეობით, და თვითონვე უპასუხებს თავის კითხვას:

— ალბათ ძნელი შეიქნა, რომ ყველა ერთად შეგვეკრიბათ...




— არა, ფოტოგრაფმა ვერ მოახერხა მათი ერთ სურათში ჩატევა!.. — ამბობს წყნარად გმირი დედა და ცდილობს გაიხსენოს თავისიანები: გიორგი, ლადო, თამარი, მიხეილი, ნინო, ნიკოლოზი, ვიქტორი, ვერა, სევერიანი, ვარა, ნადეჟდა, ალექსანდრე, ანა, კიდევ ვერა, თინა, კიდევ მიხეილი, სამსონი, კიდევ ლადო, თეიმურაზი, მაყვალა, ვარდო, ამირანი...

აქ უკვე შვილიშვილების ჩამოთვლას შეუდგა მოხუცი და სახეზე განსაკუთრებული შუქი გადაეფინა, მაგრამ ჩვენ ჟურნალში ადგილი აღარ გვყოფნის და სიის გაგრძელება იხილეთ შემდეგ...



მეზღლებთან

კრიტიკული
შეხვედრები



დიდა გათენდა თუ არა, ავტოხე ზარის წკრიალი, დაფატრიადე ჩარხივით უცებ ნოლი და ცხრიანი!

ვუთხარი: ვეძებ მოკეთეს და არა მხოლოდ საკბილოს, დღეს ჩემი გულიც ზეიმობს — უნდა ხაღხს მიეხმატკბილოს!


აღბათ, ეამა ეღსმენსაც განწყობილება ასეთი, — ამინყო ღიტერატურის და ხეღონების გაზეთი...



8. ნატაროზვილს

შენა ხარ ყველა პოეტის რედაქტორი და ნათლია, კაცი მტკაველი რომ იყოს, შენს შემდეგ სამი ადღია!

ღექსს თუ აქვს ბაღახ-ბუღახი, ავტორს ვერ გაუმარგღია, მკითხველის ყბაში ნუ აგღებ, შენ გაუმარგღე, — მაღღია!..



უჩა ჯაჰარჩის

თოვღმა მთა გადაათეთრა! — ამას თქვენც ხეღავთ, ცხადრა... ფუნჯი აიღეთ! მთა-ბარი ხეღახდა დასახატია! —

თორემ გაჭყვება ზამთარი თებერღვის ქარს და ნაკადღულს, — ახად გაზაფხულს ვიხიღავთ ხაღხის მარჯვენით დახატღულს!

რუსთაველის თეატრს

მიყვარს რუსთველის თეატრი, და ენა როგორ არ აქებს? — მას გამშვენებას ვუღოცავ, გამარჯვენებას კი — ავაკებს!

თეატრისა და მწერღობის კავშირი აღღგენიღრა, — თქვენა ხართ ჩვენი ავაკი, იღრა — თქვენი იღრა!

გარჯანიღვილის თეატრი



9. მშვეღიღებს

დიღებუღია ზაღვღი, მაგრამ ვერ ჩავთვეღით ოჰერად, უნდა უშვეღო, მშვეღიღებ, მოვითხოვთ და უნღობეღად!

ღრა დაატკბო თბიღისი კვღავ ახად ოჰერებითა... გინღ მოაგვარე ბრძანებით, გინღ ჩუმი მოფერებითა!

მარჯანიღვილის თეატრს

თუმცა შეხვეღრის სურვეღმა ზარები დამაღენინა, — არ მიპასუხა არავინ, ხეღმღღვანეღობას ეძინა.

ვიცი, რომ ვკითხო, იტყვიან პირდაპირ, განა იგავით, — ბოღიში, მაგრამ ყვეღანი კღეღპატრასთან ვიყავით...



სწორ გზაზე

აგროდრომზე დაფრენა ძლიერ მოეცნა, რომ მზინი დღე ქარბუქმა შეცვალა. სოფელ თელიანში მიმჩქარება. დღეს საღამოს უკანვე უნდა დაებრუნდე და სამასი კილომეტრი თუ საათნახევარში დაფარე, თხუთმეტი კილომეტრის გავლა პრობლემად გადაიქცა, რადგან ტრანსპორტის ყოველგვარმა სახემ ერთად გამასწარი.

დაბს თელიანამდე თხუთმეტი კილომეტრია, მაგრამ ეს მანძილი კაცმა რომ ახლა ფეხით გაიარო, პოეტურ გუნებაზე უნდა იყო და ამავდროს ხელს გაზაფხული გიწყობდეს—თავისი ზიზილ-პიბილებით. ნამქერში კი ფეხით ამ გზაზე წასვლა იმას ნიშნავს, რომ კაცს თავზე ორივე ხელი გჭონდეს აღებული.

— ცოტას თუ დამიცდით, მე წაგიყვანთ ჩემი პობედით, — გადმომელაპარაკა საშუალო ხნის კაცი, როცა ჩემი გაქირვება ავუსხენი. — მეც სწორედ იქ მივდივარ.

„არ ვიცადო. სად გავიქცე“ — მეთქი, — ჩაუფეხის-ტყაოსანე და ლოდინის სიმძინის შესამუსუბუქებლად გაზეთის კითხვა დაიწყე.

ერთმა მგზავრმა დაუსრებლად გამაცნო ჩემი მხსნელი:

— აქაურია, აგრონომად მუშაობდა და ახლა დააწინაურეს, თბილისში გადაიყვანეს. ხშირად ჩამოდის მშობლების სანახავად, კარგი კაცია! ახლა კი, მაგის ჩამოსვლის მიზეზი ის უნდა გახლდეთ, რომ დეპუტატად ირჩევენ და ამომრჩეველებს უნდა შეხედეს.

მცირე ლოდინის შემდეგ მანქანამდე უსიტყვოდ მივედი, მასპინძელმა მანქანის საქესთან მოიკალათა და თავის გვერდით შემომთავაზა ადგილი.

მოასფალტებული გზის ორივე მხარეს თოვლის კორიანტელი იდგა. ბნელოდა. აქა-იქ ელექტრონით განათებულ ადგილებს ვხვდებოდით, რაც სოფლების მაჩვენებელი იყო.

მაღე ელსადგურს ჩაუარეთ და ელნათურებმა. თითქოს გზა კი არა, გონების თვალშიც გამინათესო, ოცდაათი წლის იქით გადმისროლეს, ძველი ამბავი გამახსენეს...

სოფელი თელიანი სამასი კომლისაგან მაინც შედგებოდა და მდინარის პირად, იმდენად ოღრო-ჩოღრო ადგილზე იყო გაშენებული, რომ სოფლები ერთდერთ „რივიან“ გზას, იმ გზას, რომელზეც მე ახლა, კეთილმოწყობის შემდეგ, მანქანით მივსრიალებ, „სწორ გზას“ უწოდებდნენ.

ეტლზე ადგილი დაუკვეთე და ძია გიგომ, მეეტლემ, რომელიც ოჯახებში კარდაკარ დადიოდა და მგზავრებს აგროვებდა, მომმართა:

— მერე სადლა გეძებო, დაჯექი, სამი კაცი კიდევ მყავს წამოსაყვანი და გზას გავუდგეთ, არ დაგავიანებთ, ნუ გეშინია...

დავეჯექი. ეტლი საკმაოდ დანჯღრეული იყო, მაგრამ მწვანედ შეღებულს მაინც ამშვენებდა წარწერა: „ელვა“.

ძია გიგო ჯერ ერთი მგზავრის სახლში შევიდა და იქიდან ოცდაათი გრადუსით აწეული გამოვიდა, შემდეგ მეორე მგზავრს მიადგა და იქაც რივიანად მოინათლა. მესამე მგზავრთან ერთად კი იგი გარეთ ისეთ გუნებაზე გამოფარფატდა, რომ ცხენების მაგიერ კინალამ ჩვენ გადაგვიქირა შოლტი.

მგზავრთა შორის ჩურჩული გაჩაღდა. „გადაგვყრის სადმეო“, ყველა იძახდა, „ამ ოღრო-ჩოღრო, მინგრეულ-მონგრეულ გზაზე ჯამბახსაც კი გაუქირდება გავლა და მთვრალ კაცს როგორ ვენდოთო“. მეეტლის ოჯახში დღილეგატი გავგზავნეთ ჩვენი აზრის მისატანად. დღეღვატმა თან თვრა-

ბტიოდე წლის ყმაწვილი მოიყვანა და ამ ყმაწვილმა დიდის ვაი-ვაგლახით მოსინა კოფოდან ჩაძინებული მეეტლე მამა.

გზას ჩაქჩაქით გაუდღეკით. ახალგაზრდა მეეტლე თავს განსაკუთრებით იწონებდა, რადგან, როგორც თანამგზავრების საუბარში გამოირკვა, ჩვენთან ერთად მოდიოდა „მისი ოცნების კელეპტარი“ — ნინო. მეეტლე ცხენებს საკუთარი ნიშნებით ელაპარაკებოდა და ცხენები, არ ვიცი რამდენად ფლობდნენ პატრონის ტერმინოლოგიას, პატრონსად კი გვემსახურებოდნენ.

გვემსახურებოდნენ, მაგრამ ერთ ადგილას, რომლის გვერდზე გეოგრაფიული მასშტაბით შემცირებული ტალახის ტბა იდგა, შეჩერდნენ და ყოველგვარი განცხადების შემოტანის გარეშე, სამსახურიდან გაათავისუფლება მოითხოვეს, — ადგილიდან აღარ დაიძრნენ.

— შეშინებულები არიან, ამ ადგილას ტურები გამოუხტნენ ამას წინათ, ნუ გეშინიათ, ახლავე წაიყვან! — თქვა მეეტლემ და სირცხვილის თავიდან ასაცილებლად სასწრაფო ზომას მიმართა, — ეტლიდან ნუ ჩამოხვალთ, ეტლს ორჯერ შემოვტრიალებ ცხენებიანად, ცხენებს მიმართულება დაივიწყდებით და უცებ იმ გზაზე გაგაქროლებ, საითაც წასვლის ეშინიათ!

მეეტლემ ცხენს ხელი ჩაჰკიდა აღვირში, სამჯერ სწრაფად მოაწრუნა „ელვა“ და გაწვრთნილ ცხოველებს შეუვივლა. მაგრამ ცხენებმა არც აცივეს და არც აცხელეს, პირდაპირ ტალახის ტბისკენ აიღეს კურსი და შიგ იმ სწრაფად შეგვატურეს, დაკვივლების მეტი ველარაფერი მოვასწარი.

მეეტლე მშრალზე დარჩა, ამ სიტყვის ყოველგვარი მნიშვნელობით.

სხვა გზა რომ ვეღარ გამოიხატა, ტალახში შემოტოპა და ცხენებს დაუსწყო ხვეწნა. თქვენც არ მომიკვდით, ადგილიდან არ დაიძრნენ. შოლტის მოქნივაც სცადა, მაგრამ სახიფათო გამოდგა, გაურჩებულ ცხენებს, ადგილი შესაძლებელი იყო, ტალახში გადავეყვართ. სიჭირო ვახდა „ელვის“ შემსუბუქება, და რადგან ტალახში ჩატოპვა არა-

ვინ იკისრა, — მეეტლის ზურგი დაგვეხმარა: სათითაოდ გაგვიყვანა სამშვიდობოზე.

სათითაოდ-მეთქი, რა საკადრისია! ნინო არაფრის გულისთვის არ დაეთანხმა. „აქ დავრჩები, ისე გაიყვანე ეტლიო“, დაიჩემა. მაშინ ძალაუნებურად ძალა იხმარა მეეტლემ, როგორც ბატკანი მგელმა, ისე მოიგდო ზურგზე ნინო და ნაპირზე გამოაძუნძულა. დარცხვენილმა გოგონამ, სხვა რომ ველარაფერი გახედა, ცხენები დაუსწველა.

ხვეწნითა და ვაი-ვაგლახით სხვა ეტლებზე მოვეწყეთ. ნინოც თან წამოვიყვანეთ, მაგრამ დახეთ საკვირველებას: იგი, გზაში უკვე დავარდნილი ცხენებისა და მათი ახალგაზრდა მეეტლის გამართლებას შეუდგა.

დამავიწყდა მეთქვა, რომ ჩემი ფიჭვი და ოცნება ჩემდა შეუმჩნეველად საუბრად გადაიქცა და ამ ამბავს უკვე ჩემს აგრონომ-შოფერს ვუყუებო, ახალ, მოასფალტებულ გზას ძველ ოღრო-ჩოღროს ვადარებ და გვერდით მჯღომს ღიმილით ვაკვირდები, ისიც წამდაუშუშე აღმაცერად მიყურებს და იღიმება.

— მაშ, ამართლებდა, ჰა! ამართლებდა...

— ნინო იმ მეეტლეს?.. რა თქმა უნდა ამართლებდა. — ვუპასუხებ სერიოზულად.

აგრონომ-შოფერმა მანქანა გააჩერა, ასანთი გაკრა და მომმართა:

— კაცო, რომელი ხარ, ერთი კიდევ მეჩვენე სინათლეზე... ალბათ ძალიან გამოიცვალე, ველარა გცნობ.

— საიდან უნდა მიცნო?


— როგორ თუ საიდან? ის მეეტლე ხომ მე ვარ!..

ახლა უფრო დაეშტერდი, მაგრამ ოცდაათ წელს უკვე ნახევარ საუკუნემდე მიეცილებინა და ახალგაზრდული ნიშანწყალი საკმაოდ დაკარგვოდა.


— ნინო? ნინო სადლა არის? — ვკითხე უნებლიედ.

— ნინოს ხელახლა მაშინ გაგაცნობ, თბილისში რომ მესტუმრები!.. — თქვა მან, მანქანა დასძრა და ჩვენ კვლავ სწორ გზას გაუდღეკით.

გ. ივანიშვილი



ნან. ა. კანდელაკისა



იკ. აბაშიძე

თუმც კარგი ლექსის მთქმელია,
მას წადირობაც ართობს
და ოცდაათი წელია
ხან კადამს ხმარობს, ხან თოფს!
ცამ თავის შვილად აღზარდა
და თავის ფიქრებს ანდობს,
ამაღლდა, მკლავი ამართა
და მისწვდა კიდეც მნათობს...




მიქოლა ბაყანი

ზეიმს მიქოლა ბაყანიც
შეხვდა პურ-მარილიანი,—
რუსთველი სთარგმნა,—მოგვართვა,
მოგვართვა დავითიანი!



მხატვარი დონი

ამ ოცდაათი წლის სიმაღლეზე
რომ იდგეს დონით, ვის არ სწადია?
და დონიც დონის ასამაღლებლად
იბრძვის რამდენი წელიწადია.



ალ. წუწუნავა და კ. ფიცხვარაშვილი

ძველ მეგობრებს, თმაში თეთრიც
შეპარვოდათ, რა უშავდა?—
მაგრამ ისე გაჭაბუკდნენ—
ხედმეორედ გაუშავდათ...

რედაქტორი კ ა რ ლ ო კ ა ლ ა ძ ე. სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, აკ. ბელიაშვილი,
ი. გრიშაშვილი, უჩა ჯაფარიძე, ი. ნონეშვილი, ს. ფაშალიშვილი.

Тбилиси. Сатирико-юмористический журнал «Нванგი». რედაქციის მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 42. ტელ. 3-10-49.

ხელმოწ. დასაბ. 1951 წ. 9/II. სტამბა „ზარია ვოსტოკა“ რუსთაველის პროსპ. № 42. შვკ. № 251. აბოც. № 3. ტირ. 11.000. უე00807



ა. ბანძელაძის

პროფესია და ხასიათი

— ამ ინჟინერზე ამბობენ თავდაბალი ყმაწვილიაო, მაგრამ რაღაც არ ეტყობა; არავის ამჩნევს და სულ მალლა-მალლა იყურება.

— ეგ, ჩემო კარგო, პროფესიული დაავადებაა. მრავალსართულიან სახლებს აშენებს და უნებურად შეეჩვია მალლა ყურებას...